

ნიკოლოზ მარგველაშვილი

დავბადე 1985 წლის 19 ოქტომბერს, ქ.ქუთაისში

2003 წელს დავამთავრე ქ.ქუთაისის, მე-2 საშუალო სკოლა

2007 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობით - სამართალმცოდნეობა (ბაკალავრის ხარისხი)

2010 წელს დავამთავრე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობით - სამართალმცოდნეობა (მაგისტრის ხარისხი)

2007-2008 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კანცელარიაში სპეციალისტის თანამდებობაზე

2008-2010 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში სხდომის მდივნის თანამდებობაზე

2010-2011 წლებში ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში სხდომის მდივნის თანამდებობაზე

2011-2012 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილების სისხლის სამართლის საქმეთა სექტორის უფროსის თანამდებობაზე

2012-2013 წლებში ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი

2013-2014 წლებში ვმუშაობდი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ბიუჯეტის ანალიზის დეპარტამენტში წამყვანი აუდიტორის თანამდებობაზე

2014-2016 წლებში ვმუშაობდი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში წამყვანი აუდიტორის თანამდებობაზე

2009 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით

2010 წელს ჩავაბარე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა

2010 წელს ჩავაბარე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით

2014 წელს გავიარე კურსი - ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგიაში, ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიასა და შიდა აუდიტის საფუძვლებში

არჩეული ვიქენი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ 2016 წლის 09 ივლისს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად.

არჩეული ვიქენი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ 2017 წლის 24 ივნისს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად

2016 წლიდან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი, სალექციო კურსი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2016 წლის 04 იანვრიდან ვარ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით ვარ თბილისის საქალაქო სასამართლოს სპიკერ-მოსამართლე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით 2019 წლის 03 ივნისიდან ვარ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.